პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 67 (3551)

6 — 1968 წ. აპრილი, შაბათი, ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

## მედლების ფასი იზრდება

ჩვენი კომენტატორი

ოქროს მედლების პრეტენდენტთა დაუსწრებელმა ბრძოლამ სიმძაფრის ზენიტს მიაღწია. დაძაბულობა განელდება მხოლოდ 14 და 15 აპრილს, როცა ლიდერები ბოლოსდაბოლოს ერთმანეთის პირისპირ წარსდგებიან. მანამდე კი თბილისის „დინამოსაც" და ცსკასაც ერთადერთი საზრუნავი აქვთ: რაც შეიძლება მცირე ზარალით (იქნებ უდანაკარგოდაც) განვლონ ძნელი და სახელოვანი გზის ბოლო მონაკვეთი.

გუშინწინ თბილისს ერთკვირიან არდადეგებზე ესტუმრა სამხრეთ ამერიკიდან დაბრუნებული საბჭოთა ნაკრების წევრი ზ. საკანდელიძე, რომელმაც ბევრ საინტერესო ამბავთან ერთად თანაგუნდელებს ამცნო — ცსკა ბრწყინვალე ფორმაშიაო.

რამდენიმე დღით ადრე პირად საუბარში იგივე აზრი გამოთქვა გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" მიმომხილველმა ა. პინჩუკმა, რომელიც სპეციალურად იყო ჩამოსული თბილისის „დინამოსა" და ლენინგრადის „სპარტაკის" მატჩებზე დასასწრებად, ახლა კი მოსკოვის არმიელთა უკრაინულ ტურნეს ემსახურება კიევში. თბილისიდან გამგზავრების წინ მან ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად თქვა: აქ ჩამოვედი, დინამოელებს გავუფუჭე გუნება, ახლა იმავე ხასიათზე დავაყენებ მოსკოვის არმიელებსო.

თქმა არ უნდა, „დინამოსა" და ცსკა-ს მომავალი მატჩები წლევანდელი საკალათბურთო სეზონის ნამდვილი პრემიერა იქნება, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სხვა შეხვედრებმა მეორე პლანზე გადაინაცვლეს. პირიქით, მოახლოებულმა ფინიშმა კიდევ უფრო გაამწვავა მდგომარეობა სატურნირო ცხრილის ორივე პოლუსზე. ახლა გადაჭრით მხოლოდ ერთი შეიძლება ითქვას: უმაღლეს ლიგას დატოვებენ ბაქოს „ბურევესტნიკი" და სვერდლოვსკის „ურალმაში". სწორედ ამიტომ, ისინი სხვებზე მშვიდობიანად არიან განწყობილი.

დანარჩენი გუნდები კი იბრძვიან გააფთრებით, ძალ-ღონის დაუზოგავად. ზოგი, უბრალოდ, სატურნირო მდგომარეობის გაუმჯობესებას ცდილობს. არიან ისეთებიც, რომლებიც ამა თუ იმ მეტოქესთან პირად ანგარიშს ასწორებენ. ერთი სიტყვით, ყველა თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, ყველას თავისი საზრუნავი აქვს.

თბილისის „ბურევესტნიკი" ჩემპიონატის ფინიშზე სიურპრიზს სიურპრიზზე გვთავაზობს. იგი არ ჩამორჩა წლევანდელი ჩემპიონატის უცნაურობათა ტემპს და საყოველთაო პოპულარობასაც იხვეჭს. ლენინგრადის „სპარტაკთან" ბოლო ორი გამარჯვებით „ბურევესტნიკის" ფასმა საგრძნობლად აიწია. ახლა იმასაც კი ამბობენ, ამ გუნდმა შესაძლოა ცსკა-ც გაამწაროს მის მოედანზეო. ვინ იცის? ყველაფერია მოსალოდნელი.

აქამდე თუ თბილისი იყო საკალათბურთო ცხოვრების ცენტრი, ახლა მან დროებით კიევში გადაინაცვლა, სადაც პირველი ხუთეულის 3 წევრი არც თუ მორჩილად ელის თავის ბედსა და განაჩენს. ოქროს მედლების იმედი არც ერთ მათგანს არა აქვს გადაწურული. ამიტომ ბრძოლა, რა თქმა უნდა, უშეღავათო იქნება.

ლენინგრადის სპარტაკელთა „შავი დღეები" გრძელდება. ამ სიმპათიური, ახალგაზრდული გუნდისთვის, რომელსაც ყველაფერი წინა აქვს, სატურნირო კალენდარი მეტად მუხანათური გამოდგა. თბილისიდან იგი ბაქოში გაემგზავრა, შემდეგ კი კიევს ეწვევა და მხოლოდ 20 აპრილს დაბრუნდება შინ, რათა ჩემპიონატის ბოლო მატჩები ჩაატაროს კაუნასის „ჟალგირისთან". შესაძლოა ამ დროისთვის ლენინგრადელებს გუნება საბოლოოდ გაუფუჭდეთ, შესაძლოა ისინი პრიზიორებშიც ვერ მოხვდნენ, მაგრამ ერთი ცხადზე ცხადია: „სპარტაკი" — მომავლის გუნდი — კიდევ ბევრჯერ აალაპარაკებს კალათბურთის სამყაროს.

ბოლო წლებში საბჭოთა კალათბურთი რატომღაც გაემიჯნა ევროპულს. სსრ კავშირის ჩემპიონი არ მონაწილეობს ჩემპიონთა ევროპულ ფორუმში. დაწესდა კიდევ ერთი ახალი ტურნირი — თასების მფლობელთა თასი, რომელშიც ჩვენ ვერ გამოვალთ მანამ, სანამ თასის საკუთარი გათამაშება არ გვექნება. ამ უცნაურმა მდგომარეობამ კალათბურთის საზოგადოებრიობის სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია. ახლა ამბობენ, ჩემპიონთა თასის მომავალ გათამაშებაში სსრ კავშირი ალბათ მონაწილეობას მიიღებსო. თუ ასეა, წლევანდელი ოქროს მედლების ფასი ერთიორად გაიზრდება.

ნ. გუგუშვილი.

### უკეთ...

**რიგა, 3 აპრილი.** ადგილობრივმა ვეფ-მა უკეთ ჩაატარა განმეორებითი მატჩი კიევის „სტროიტელთან" და გაიმარჯვა — 68:64. ლატვიელებს ახლა ხუთეულში გასვლის რეალური შანსი აქვთ.

თბილისი. სპორტის სასახლე. 3 აპრილი.

„ბურევესტნიკი" (თბილისი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი) 74:73 (39:39).

„ბურევესტნიკი": გლურჯიძე (6), კოვალენკო (23), ჩხიკვაძე (6), ბიჭიაშვილი (2), ლომაძე (11), მანაგაძე (15), ლეჟავა (9), ჯულელი (2).

„სპარტაკი": ლეონოვი (6), შტუკინი (17), ბელოვი (11), ბიკოვი (13), გრიგორაშენკო (2), ივანოვი (8), კუტუზოვი (3), ბოლშაკოვი (7), ფედოროვი (6).

მსაჯები: გ. მუხამეძიანოვი (ყაზანი), ვ. კასატიკოვი (მოსკოვი).

### ცსკა დამარცხდა

### კიევში...

გაიმართა ორი კალენდარული მატჩი: „დინამო" (თბილისი) — ასკ (რიგა) 75:71 (39:46), ასკ (კიევი) — ცსკა 66:58.

თბილისი. სპორტის სასახლე. 4 აპრილი.

„დინამო" (თბილისი) — ასკ (რიგა) 81:70 (47:26).

„დინამო": უგრეხელიძე (20), ლეჟავა (8), ალთაბაევი (12), ქორქია (4), ქარაბაკი (6), ნარიმანიძე (4), ჩიხლაძე (6), მოსეშვილი (9), ბოლქვაძე (10), მაღალაშვილი (2), მამალაძე.

ასკ: ეგლიტისი (8), ზაიდაკსი (6), სტრელისი (8), ფრეიმანისი (9), ლეგზდინში (4), ვერიტისი (18), კალნინში (9), დავიდი (4), იასუნე (4), ზაბელო, ზამუელე, ტრაიცისი.

მსაჯები: ვ. კასატიკოვი (მოსკოვი), კ. კალანდაძე (თბილისი).

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (თბილისი) | 36 | 26 | 10 | 2672—2484 | 26 |
| ცსკა | 37 | 24 | 13 | 2444—2295 | 24 |
| ასკ (კიევი) | 38 | 24 | 14 | 2665—2515 | 24 |
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 36 | 23 | 13 | 2579—2494 | 23 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 38 | 21 | 17 | 2495—2447 | 21 |
| ვეფ (რიგა) | 36 | 19 | 17 | 2534—2524 | 19 |
| „კალევი" (ტარტუ) | 36 | 18 | 18 | 2415—2345 | 18 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 36 | 18 | 18 | 2520—2486 | 18 |
| ასკ (რიგა) | 38 | 17 | 21 | 2747—2747 | 17 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 35 | 17 | 18 | 2332—2277 | 17 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 38 | 7 | 31 | 2592—2955 | 7 |
| „ბურევესტნიკი" (ბაქო) | 36 | 6 | 30 | 2620—3062 | 6 |

## 80.000 მაყურებელი... კალათბურთზე

მაყურებელთა სარეკორდო აუდიტორია — 80 ათასი კაცი შეკრიბა ათენში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალურმა მატჩმა ადგილობრივი აეკ-ისა და პრაღის „სლავიის" კალათბურთელ ვაჟთა გუნდებს შორის.

თეთრი მარმარილოს ოლიმპიურ სტადიონზე (აქ 1896 წელს გაიმართა I ოლიმპიური თამაშები) კალათბურთის მოყვარულებმა მოსვლა იწყეს მატჩის დაწყებამდე... 8 საათით ადრე. 10 ათასზე მეტი კაცი სტადიონის გარეთ დარჩა და ბრძოლის მსვლელობას რადიოთი უსმენდა.

დაძაბული მატჩი მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა — 89:82 (47:38).

ამავე დღეს, 4 აპრილს, გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის განმეორებითი ნახევარფინალური მატჩები. ბრნოში ადგილობრივი კლუბის („სპარტაკ-ზკლ") ვაჟთა გუნდმა დაამარცხა მილანის „სიმენტალი" — 103:86 (პირველი თამაში მოიგეს იტალიელებმა — 64:63), ხოლო იუგოსლავიის ქალაქ ზადარში ამავე სახელწოდების ადგილობრივმა გუნდმა კვლავ წააგო მადრიდის „რეალთან" — 65:68 (პირველ თამაში — 62:76). ბრნოსა და მადრიდის გუნდების ფინალური მატჩი 11 აპრილს გაიმართება ლიონში.

ამ ტურნირებში საბჭოთა გუნდები არ მონაწილეობდნენ.




## სხვადასხვა ამბები

● **სვერდლოვსკი, 3 აპრილი.** 23 წლის სვერდლოვსკელმა მოცურავე ბ. გულიაევმა 500 მეტრზე რბენაში სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა დაბლობის საციგურაოებისთვის — 39,9 წამი. ეს ამგვარ ბილიკებზე წლევანდელი სეზონის საუკეთესო შედეგია მსოფლიოში და იაპონელი კ. სუძუკის მსოფლიო მიღწევის გამეორება გახლავთ. ამავე დისტანციაზე ა. პატოკოვამ დაბლობის საციგურაოებისთვის ტ. სიდოროვას საკავშირო რეკორდი — 44,9 წამი გაიმეორა. პატოკოვამ ხელოვნური საციგურაო „იუნოსტის" რეკორდით გაიმარჯვა 1.500 მეტრზე რბენაში — 2.25,4. ეს შედეგები მოციგურავეებმა ადგილობრივი უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლის ღია პირველობაში უჩვენეს.

● **მურმანსკი, 4 აპრილი.** ჩრდილოეთის ტრადიციული, 34-ე დღესასწაულის აბსოლუტური ჩემპიონები გახდნენ ომსკელი ვ. დოლგანოვი და ლენინგრადელი ნ. შებალინა. მონჩეგორსკში მოციგურავეები ასპარეზობდნენ. აქ ყველას აჯობეს გორკელმა ჟანა ულმიშეკმა და ირკუტსკელმა ს. სელიანინმა. ხიბინის მთების ფერდობებზე გიგანტურ სლალომში გამარჯვება იზეიმა სსრ კავშირის აბსოლუტურმა ჩემპიონმა, იმიერპოლარეთის ყველაზე პოპულარულმა სპორტსმენმა ვ. მელნიკოვმა, სპეციალურ სლალომში კი იმარჯვა ჩრდილოეთის შარშანდელ დღესასწაულში საუკეთესომ ა. პროკოფიევმა. გუნდურ პირველობაში, რომელსაც ათასზე მეტი სპორტსმენი ეცილებოდა ერთმანეთს (ესენი იყვნენ რუსეთის ფედერაციის 20 ოლქისა და ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლები), ყველას აჯობეს მურმანსკელებმა. II ადგილი დაიკავა პერმის ოლქის ნაკრებმა, III — კ[illegible]ლიის კოლექტივმა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მურმანსკის მახლობლად მდებარე თოვლიან ველზე 49 მრბოლელმა შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. დღეს სპორტსმენები ეთხოვებიან პოლარული ოლიმპიადის ტრადიციულ დედაქალაქს მურმანსკს, მაგრამ იმიერპოლარეთის ტრასებზე ბრძოლა ამით არ ცხრება: ხვალ ერთმანეთს შეეჯიბრებიან სსრ კავშირისა და გდრ-ის ბიატლონისტთა ნაკრები გუნდები, ხოლო 7 აპრილს კანდალაკშში — თეთრი ზღვის ნაპირას მდებარე ამ უძველეს ქალაქში გათამაშდება სსრ კავშირის პირველობა 70 კილომეტრზე სათხილამურო რბოლაში.

● **რიგა, 4 აპრილი.** სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა ჩემპიონმა, ადგილობრივმა ტტტ-მ ანგარიშით 95:46 (42:17) დაამარცხა პოლონეთის „ლკს" (ლოძი) და კვლავ მოიპოვა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალში ასპარეზობის უფლება. ამ გუნდების პირველი ნახევარფინალური მატჩიც რიგელთა სასარგებლოდ დამთავრდა — 75:44.

● **მედანა** (ინდონეზია), **4 აპრილი.** სსრ კავშირის ფეხბურთელთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა, რომელიც აქ ბირმიდან ჩამოვიდა, დღეს ამ ქალაქში დაამარცხა ინდონეზიის ფეხბურთის ასოციაციის ნაკრები გუნდი — 2:0.

● **იოკოჰამა, 4 აპრილი.** სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა ნაკრებმა თავისი იაპონური ტურნეს პირველი მატჩი აქ წააგო საკლუბო გუნდ „ხიტაჩისთან" — 1:3 (17:19, 15:10, 10:15, 7:15).

● **მოსკოვი, 4 აპრილი.** აქ დამთავრდა მოზარდ ჩოგბურთელთა საკავშირო ასპარეზობა. ერთეულებში პირველ ადგილებზე გავიდნენ ალმაათელი კარპოვა და სევეროდონეცკელი ფილიოვი. ფილიოვმა პირველობა მოიპოვა ჭაბუკთა წყვილებშიც თანაქალაქელ შიბალოვთან ერთად. გოგონებში უძლიერესნი იყვნენ მოსკოველები იზოპაიტისი და იანსონე, შერეულ წყვილებში კი იმარჯვეს ესტონეთის ჩოგბურთელებმა კომაროვამ და ლანგემ.

## ხარისხი შეწირა

**სოხუმი, 5 აპრილი** (ტელეფონით, ჩვენი კორ.). გუშინ აქ შედგა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის მეოთხედფინალური მატჩის — ე. გელერ — ბ. სპასკის ორთაბრძოლის II პარტია.

სპასკიმ მეფის პაიკით დაიწყო თამაში, მაგრამ, როცა გელერმა სიცილიური დაცვა აირჩია, მან ბრძოლა ამ დებიუტის დახურულ სისტემაში გადაიყვანა. პოზიცია ძალზე გამწვავდა მას შემდეგ, რაც სპასკიმ მატერიალური მსხვერპლი გაიღო.

აი, როგორ წარიმართა ბრძოლა:

გელერი



სპასკი

ეს პოზიცია შეიქმნა თეთრების მე-20 სვლის შემდეგ. სპასკი სწირავს ხარისხს, რათა დაასუსტოს შავი მეფის თავშესაფარი. გელერი გამოწვევას ღებულობს.

**20. ... კc3 21. ლf2 კ:e1 22. ე:e1 f6 23. კh6 ეf7 24. g4.**

სპასკი იწყებს იერიშს. მისი მიზანია ხაზების გახსნა.

**24. ... e6 25. მh4 g5 26. მf3 ef**

იქნებ სჯობდა 26. ... e5 და ლაზიერის ფრთაზე ხაზების გახსნა? მაგრამ გელერი თავად ხსნის g ვერტიკალს იერიშის მიღების იმედით. მან ჯეროვნად ვერ შეაფასა ორი თეთრი კუს ძალა.

**27. gf მფh8 28. h4 g4 29. მh2 g3 30. ლ:g3 მ:c2 31. ეg1 კb7 32. კf3 ლd7 33. კh5 ეe7 34. მg4 ეg8 35. ლf2 მd4 36. მ:f6 ე:g1+ 37. ლ:g1** და გელერი დანებდა, ვინაიდან 37. ... ლd8-ს მოჰყვებოდა 38. კe8!

ამრიგად, დაწინაურდა სპასკი — 1,5:0,5. 6 აპრილს შედგება III პარტია.

ლ. მისაბიშვილი,

პირველთანრიგოსანი მოჭადრაკე.

## ლიდერი არ ჩანს

საქართველოს ქალთა V საერთაშორისო ტურნირის ორი საგზური — აი, მიზანი, რომლისთვისაც ამ ორიოდე დღის წინ თბილისში მოჭადრაკე ქალთა შესარჩევი შეჯიბრება დაიწყო. ბრძოლაში 13 მოჭადრაკე ჩაება.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე სამმა ტურმა განვლო, ლიდერების დასახელება შეუძლებელია. საქმე ისაა, რომ გათამაშებული პარტიების ნახევარზე მეტი გადაიდო.

სტარტი ყველაზე წარმატებით ქუთაისელმა დ. გამყრელიძემ აიღო. მან ძნელი ბრძოლა მოუგო ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტს ნ. ხუბულურს, მეორე დღეს კი ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ლ. კორომინაძესთან, რომელმაც, სხვათა შორის, ამას წინათ აშხაბადში სოფლის მოჭადრაკეთა საკავშირო პირველობაში, თვით სსრ კავშირის ჩემპიონს, საერთაშორისო ოსტატ მ. რანიკუს მოუგო.

მარცხით დაიწყო ტურნირი ყველაზე უმცროსმა მონაწილემ, ბათუმელმა ნ. გიორგაძემ. მაგრამ მომდევნო ორ შეხვედრაში მან მოუგო ნ. ჩიქობავას და ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ნ. ბალაშვილთან.

ესაა და ეს. ფავორიტებს — საქართველოს ჩემპიონს ც. კახაბრიშვილს და გოგონებში სსრ კავშირის ექს-ჩემპიონ ც. კობაიძეს ყველა პარტია გადადებული აქვთ. თბილისელებიდან მხოლოდ მ. ჩომახიძემ დაამთავრა სამივე შეხვედრა, რომელთაგან ორში მის მეფეს ფარ-ხმალი დააყრევინეს.

თ. ნინოშვილი.

## 15 ტურის შემდეგ

თბილისის ვაჟთა პირველობაში 15 ტურის შემდეგ ლიდერობენ: რ. ჯინჯიხაშვილი — 12,5 ქულა, თ. გიორგაძე — 12, თ. ლომაია — 11, გ. კალატოზიშვილი — 10, ე. უბილავა, ს. მეგრელიშვილი — 9-9, გ. მაჭავარიანი — 8,5, ნანა ალექსანდრია, ა. ბოკუჩავა, ა. წერეთელი — 8-8.

# გათამაშების დებულებიდან

სსრ კავშირის საიუბილეო, XXX ჩემპიონატმა უკვე აიღო სტარტი. როგორც ვიცით, „ა" კლასის I ჯგუფში წლეულს მონაწილეობს 20 გუნდი.

როგორც ძირითად, ისე სათადარიგო შემადგენლობათა გათამაშება ჩატარდება ორ წრედ. გუნდების ადგილები, როგორც ყოველთვის, განისაზღვრება ყველა შეხვედრაში მიღებულ ქულათა ჯამით. ქულების თანაფარდობის შემთხვევაში გუნდებს ადგილები მიეკუთვნებათ გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობით. თუ ეს მაჩვენებელიც თანაბარი იქნა, გუნდს უპირატესობა მიენიჭება გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობით ერთი და იგივე ადგილის პრეტენდენტთა შორის ჩატარებულ თამაშებში. თუ აქაც არ გამოირკვა საკითხი, უპირატესობა განისაზღვრება ამ გუნდებს შორის ჩატარებულ თამაშებში მოწინააღმდეგის მინდორზე გატანილი მეტი ბურთის მიხედვით.

სიახლეა მოთამაშეთა შეცვლის საკითხში. ამიერიდან ნებადართულია საკავშირო ჩემპიონატისა და თასის გათამაშებაში ორი მოთამაშის შეცვლა სათადარიგოებით თამაშის ნებისმიერ დროს და ყოველგვარი მიზეზით. წესებში არ არის შეზღუდული, თუ რომელი მოთამაშეები უნდა შეიცვალოს, ვთქვათ, მხოლოდ მეკარე, თუ მხოლოდ მინდვრის მოთამაშე. მწვრთნელებს უფლება აქვთ, მაგალითად, შეცვალონ მხოლოდ მინდვრის მოთამაშეები, მაგრამ ისინი ვალდებული არიან შეჯიბრების ოქმში მატჩის დაწყებამდე 30 წუთით ადრე ძირითად მოთამაშეებთან ერთად ჩაწერონ სათადარიგოთა გვარებიც და შეცვლა მოახდინონ მხოლოდ ოქმში შეტანილ მოთამაშეთა რიცხვიდან.

„ა" კლასის II ჯგუფის ქვეჯგუფებში დამთავრებულ შეჯიბრებათა შემდეგ ჩატარდება მატჩები I-IV და V-VIII ადგილების გამოსარკვევად.

„ა" კლასის II ჯგუფის უძლიერესი გუნდი გაისად გადავა „ა" კლასის I ჯგუფში იმ გუნდის ნაცვლად, რომელიც აქ გამოვა ბოლო, XX ადგილზე.

საგანგებო ღონისძიებებია დასახული დისციპლინის დარღვევათა აღმოსაფხვრელად. ფეხბურთელთა ისეთი საქციელი, როგორიცაა დაშავების სიმულაცია, უკმაყოფილების დემონსტრაციული გამოხატვა მსაჯის გადაწყვეტილებაზე, მასთან კამათი, აგრეთვე, სტანდარტული მდგომარეობიდან დარტყმებისას საჭირო დისტანციის დაუცველობა შეიძლება ჩაითვალოს თამაშის ჩაშლის გამომწვევ მიზეზად. დებულების სპეციალურ მუხლში ნათქვამია, რომ გუნდების უფროსები, უფროსი მწვრთნელები და კაპიტნები პასუხს აგებენ ყველა ფეხბურთელის საქციელზე თამაშის მსვლელობისას.

აკრძალულია განაცხადში იმ მოთამაშეთა შეტანა, რომლებსაც არა აქვთ საშუალო განათლება ან არსად სწავლობენ.

მსაჯთა დანიშვნას თამაშებზე აწარმოებს არბიტრთა საკავშირო კოლეგია, ამასთან აღნიშნულია, რომ გუნდების ან ორგანიზაციათა ხელმძღვანელობის თხოვნა მატჩებზე დანიშნული მსაჯების შეცვლაზე მხედველობაში არ მიიღება. პროტესტის შეტანის წესი ძველი რჩება. პროტესტის შემტანი გუნდის უფროსი, ან უფროსი მწვრთნელი ვალდებულია თამაშის დამთავრებისთანავე აცნობოს ამის შესახებ მსაჯს, მოწინააღმდეგე გუნდის უფროსს ან უფროს მწვრთნელს და თავისი განცხადება აუცილებლად აღნიშნოს თამაშის ოქმში. თვით პროტესტი უნდა გაიგზავნოს მატჩის დამთავრებიდან არაუგვიანეს 24 საათისა. პროტესტებს განიხილავს სპორტულ-ტექნიკური კომისია და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში აცნობებს ამის შესახებ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმს.

სსრ კავშირის 1968 წლის ჩემპიონი დაჯილდოვდება გარდამავალი პრიზით, დიპლომითა და ვიმპელით. გუნდის წევრები მიიღებენ I ხარისხის ოქროს მედლებს, ხოლო უფროსი მწვრთნელი და მწვრთნელები — სპეციალურ მედლებს. დაჯილდოვდებიან მედლებით ის მოთამაშეები, რომლებმაც ითამაშეს პირველობის მატჩების არანაკლებ 50 პროცენტი (სსრ კავშირის ნაკრები გუნდების მოთამაშეთათვის — თამაშების არანაკლებ 40 პროცენტი).

ფეხბურთი — 68

# დიდი ფეხბურ[თის] სეზო[ნი]

28 მარტს დაიწყო სსრ კავშირის მორიგი ჩემპიონატი ფეხბურთში. პირველი მატჩი გაიმართა ტაშკენტში. შემდეგ — ქუთაისში, ლუგანსკსა და ბაქოში, ხოლო დღეს გათამაშების დროშა აღიმართება თბილისის „დინამოს" სტადიონზე და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებშიც.

1968 წელი საიუბილეოა სამამულო ფეხბურთისთვის. ჩვენ ვიზეიმებთ მისი არსებობის 70 წლისთავს და, გარდა ამისა, სსრ კავშირის ჩემპიონატი ჩატარდება ოცდამეათედ. საბჭოთა ფეხბურთმა ბოლო წლებში მოიპოვა დიდი წარმატებები: მოიგო ევროპის თასი, VIII მსოფლიო ჩემპიონატში დაისაკუთრა ბრინჯაოს მედლები, ხოლო ჩვენმა საუკეთესო ფეხბურთელებმა ლ. იაშინმა, ა. შესტერნიოვმა, ე. სტრელცოვმა, ი. ჩისლენკომ, ვ. ვორონინმა, ს. მეტრეველმა, მ. მესხმა, მ. ხურცილავამ და სხვებმა საერთაშორისო აღიარება ჰპოვეს.

მაგრამ, რა თქმა უნდა, დუმილით არ უნდა ავუაროთ გვერდი ხარვეზებსაც. გავიხსენოთ, თუნდაც, ჩვენი მარცხი წინა ოლიმპიურ თამაშებში, საბჭოთა საკლუბო გუნდების წარუმატებლობანი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე და თასების მფლობელთა თასზე. სულ ახლახან ევროპულ ფორუმზე კვლავ მარცხი ვიწვნიეთ: მოსკოვის „ტორპედო" გამოეთიშა ბრძოლას თასების მფლობელთა თასზე უელსის „კარდიფ-სიტისთან" მატჩში, თუმცა ეს გუნდი ინგლისური კლასიფიკაციით ახლა მხოლოდ მესამე ათეულის ბოლოში იმყოფება.

საგანგაშოა ის მდგომარეობა, რომ სსრ კავშირის ეროვნული ნაკრების ძირითად შემადგენლობაშიც კი გვყავს ფეხბურთელები, რომელთა კლასი შორს დგას სასურველისგან. ნაკრები გუნდი — ეს მთლიანად საბჭოთა ფეხბურთის სახეა, იცავს მის პრესტიჟს ფართო სარბიელზე, ამიტომაა ახლა საყოველთაო [...] ვლები საერთაშორისო შეჯიბრებ[...].

მსოფლიო ჩემპიონატი, ოლიმპი[...] ლობა ფაქტიურად განუწყვეტლი[...] ამას დავუმატებთ ევროპული მას[...] მავალში საბჭოთა გუნდი ითამაშე[...] ბა, რა სირთულეებთან გვაქვს [...].

1968 წლის სეზონის ძირითადი [...] ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები, [...] ლიფიკაციო შეხვედრები, ევროპ[...] ჩემპიონთა თასი, ევროპის ქვეყნ[...] ბაზრობათა თასი, უეფა-ს ტრად[...] ოფიციალური თუ ამხანაგური სა[...] დენობა ყველა კონტინენტის წარ[...].

საშინაო შეჯიბრებებიდან უკვე [...] რომელიც უკვე ზედიზედ მეორე[...].

უკვე დაიწყო ჩვენი ყველაზე დ[...], ლით ალხავსე შეჯიბრება — სსრ [...].

როგორც ყოველთვის, დიდ ინტ[...]



სურათზე: უტევს თბილისის „დინამო". გარლვევაზეა დინამოელთა ცენტრალური თავდამსხმელი გ. ნოდია (ზოლებიან მაისურში).

ფოტო მ. ზარგარიანისა.



მოსკოვის სპარტაკელებმა ეს-ესაა დაამთავრეს დილის დაჭურვა კიროვის სახელობის პარკში. გუშინ გადაღებულ სურათზე თქვენ ხედავთ გუნდის უფროს მწვრთნელს ნ. სიმონიანს (მარჯვნივ), რომელიც ესაუბრება მოთამაშეებს (მარცხნიდან) ვ. მასლაჩენკოს, ვ. პაპაევსა და ა. კრუტიკოვს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

დადგა გულშემატკივართა ნანატრი დღე: „დინამოს" სტადიონზე სსრ კავშირის საიუბილეო, XXX ჩემპიონატის პირველი მატჩი ტარდება. ფეხბურთის მოყვარული ამ დღეს მუდამ იგონებს წარსული წლების პირველ მატჩებს და ამის მიხედვით ათასგვარ პროგნოზებს ადგენს თავისთვის. ასეა ამჯერადაც...

თბილისის დინამოელთა დღევანდელი მეტოქე — მოსკოვის „სპარტაკი" დახასიათებას არ საჭიროებს. მისი მიღწევები როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო სარბიელზე საკმაოდ ცნობილია. დღევანდელი მეტოქეები მრავალჯერ შეხვედრიან ერთმანეთს, მაგრამ განსაკუთრებით საინტერესო ისაა, რომ დინამოელებსა და სპარტაკელებს სწორედ ჩემპიონატის პირველ მატჩებში უთამაშიათ ბევრჯერ.

ჩვენი გაზეთის მკითხველისათვის უინტერესო არ იქნება განვლილ 30 ჩემპიონატში დინამოელთა პირველი მატჩების შედეგების გაცნობა. სწორედ ოცდაათში, ვინაიდან მკითხველებს ვაცნობებთ თბილისელთა პირველი მატჩის შედეგსაც, როცა ისინი საკავშირო ჩემპიონატის „ბ" ჯგუფში ასპარეზობდნენ. ეს იყო 1936 წელს. თბილისელთა პირველი მატჩი 24 მაისს უნდა გამართულიყო ხარკოველ თანაკლუბელებთან. მაგრამ შეხვედრა არ შედგა, ვინაიდან ხარკოველები არ ჩამოვიდნენ და თბილისელებმა უბრძოლველად ჩაიწერეს 2 ქულა. პირველი მატჩი მათ 30 მაისს ჰქონდათ მოსკოვის „სტალინეცთან". შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1. იმავე წლის შემოდგომით გაიმართა ქვეყნის II ჩემპიონატი და დინამოელები უკვე უმაღლეს ლიგაში გამოდიოდნენ. პირველი მატჩი მათ კიეველ თანაკლუბელებთან ჰქონდათ და შეხვედრა კვლავ ფრედ დამთავრდა — 2:2.

1937 წელს სსრ კავშირს სახელგანთქმული ბასკი ფეხბურთელები ესტუმრნენ. ჩემპიონატი მოგვიანებით დაიწყო და დინამოელებმა პირველი მატჩი მეტოქის მინდორზე გამართეს (ერთადერთი შემთხვევა, როცა თბილისელებმა პირველი მატჩი სხვის მინდორზე ჩაატარეს): 12 აგვისტოს ისინი კიევში ადგილობრივ დინამოელებს შეხვდნენ. კვლავ ფრე — 2:2.

1938 წლის 12 მაისს თბილისელები მოსკოვის „ლოკომოტივს" მასპინძლობდნენ. მატჩი მოიგეს დინამოელებმა — 2:0 (1:0). გოლების ავტორები არიან ბერძენიშვილი (11-მეტრიანი საჯარიმოდან) და ბერეჟნოი.

დინამოელებმა პირველი მატჩი 1939 წელსაც 12 მაისს გამართეს. ამჯერად მათი მეტოქეები იყვნენ მოსკოველი თანაკლუბელები. დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 4:1. ორი ბურთი გაიტანა ჯეჯელავამ, დანარჩენი 2 კი მოსკოველებმა ლაპშინმა და რიომინმა თავიანთ კარში მოათავსეს.

1940 წლის 2 მაისს დინამოელები ლენინგრადის „ზენიტს" შეხვდნენ თბილისში. 4:2 — ასეთია ანგარიში. გოლები გაიტანეს ჯეჯელავამ (2), ბერეჟნოიმ და გაგუამ.

1941 წლის ჩემპიონატი დიდი სამამულო ომის დაწყების გამო შეწყდა. მაგრამ პირველ მატჩში (27 აპრილს) თბილისელებმა „მშრალი" ანგარიშით დაამარცხეს სტალინოს „სტახანოვეცი" — 3:0. გოლების ავტორები არიან გავაშელი, პანიუკოვი და ბერეჟნოი.

# ასე იწყებდნენ...

1945 წელს სსრ კავშირის ფეხბურთელთა ჩემპიონატი განახლდა. თბილისელთა მეტოქე 13 მაისს პირველ მატჩში ლენინგრადის „დინამო" იყო. პანიუკოვის მიერ გატანილ ორ გოლს ლენინგრადელებმა პასუხი ვერ გასცეს.

1946 წლის 20 აპრილს თბილისელებმა კიევის „დინამო" დაამარცხეს: მატჩის მიწურულს პაიჭაძის მიერ დარტყმული ბურთი კიეველთა მცველს კუზნეცოვს მოხვდა და გავიდა კარში.

1947 წლის 2 მაისს თბილისელებმა სძლიეს მოსკოვის „კრილია სოვეტოვს" — 2:1. ორივე გოლის ავტორია პაიჭაძე.

პირველი მატჩი 1948 წელსაც 2 მაისს გაიმართა. თბილისელები ვილნიუსის „სპარტაკთან" თამაშობდნენ. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 5:1. გოლების ავტორები არიან ზაზროევი, მახარაძე, პანიუკოვი, გ. და ს. ჯეჯელავები.

1949 წლის 17 აპრილს თბილისელებმა მოსკოვის „ტორპედო" მიიღეს. ფრე — 2:2. თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს თოდრიამ და ზაზროევმა.

1950 წლის 16 აპრილს ჩვენი გუნდი პირველად დამარცხდა პირველ მატჩში საკუთარ მინდორზე. მას მოსკოვის თანაკლუბელებმა სძლიეს — 3:1. ჩვენებიდან გოლის ავტორი გახლდათ ღოღობერიძე.

1951 წლის 1 აპრილს ერთმანეთს შეხვდა თბილისის ორი გუნდი — „დინამო" და „სპარტაკი". საინტერესოა გუნდების შემადგენლობა. „დინამო": მარღანია, ელოშვილი, ძიაპშიპა, სარჯველაძე, პანიუკოვი, კილაძე, ჯოჯუა, კ. გაგნიძე, ვარდიმიადი, ღოღობერიძე, თოდრია; „სპარტაკი": ჟმელკოვი, კინწურაშვილი (ი. შუდრა), კატანოვი, ხურციძე, ნ. გაგნიძე, გუგუნავა, გრამატიკოპულო, ლომაია, არომიძე, გამყრელიძე, სიხარულიძე. მატჩს სჯიდა ნ. ჩხატარაშვილი. შეხვედრის ანგარიშია 6:0. (2:0) დინამოელთა სასარგებლოდ. გოლების ავტორები არიან ღოღობერიძე (3, აქედან ერთი — 11-მეტრიანი საჯარიმოდან), ვარდიმიადი. 2 ბურთი თავიანთ კარში გაიტანეს გუგუნავამ და კატანოვმა.

1952 წელს ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით სსრ კავშირის ჩემპიონატი ერთ წრედ მოეწყო. ყველა გუნდი მოსკოვში თამაშობდა. დინამოელებმა პირველი მატჩი წააგეს ადგილობრივ არმიელებთან — 2:3. თბილისელთაგან გოლების ავტორები არიან ჭკუასელი და ღოღობერიძე.

1953 წლის 19 აპრილს დინამოელები პირველ მატჩში პირველად შეხვდნენ თავიანთ დღევანდელ მეტოქეებს. უფერული თამაში ფრედ (0:0) დამთავრდა.

1954 წლის 4 აპრილს ეს გუნდები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს პირველ მატჩში. ამჯერად გაიმარჯვეს თბილისელებმა — 2:1 (1:0). პირველი ტაიმის მიწურულს ღოღობერიძემ ზუსტად გამოიყენა 11-მეტრიანი საჯარიმო. შესვენების შემდეგ ტატუშინმა გაქვითა ანგარიში. მატჩის დამთავრებას წუთები უკლდა, როცა ღოღობერიძის მიერ დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა, მინდორს დაუბრუნდა და კალოევმა იგი კარში გაგზავნა.

1955 წლის 10 აპრილს თბილისელთა მეტოქე კვლავ „სპარტაკი" იყო, ოღონდ ამჯერად მინსკისა. ფრე — 1:1. მასპინძელთაგან გოლი გაიტანა კალოევმა.

1956 წლის 1 აპრილის მატჩიც ფრედ (1:1) დამთავრდა. თბილისელები მოსკოველ თანაკლუბელებთან თამაშობდნენ. ჩვენებიდან ბურთის ავტორია ზაზროევი.

1957 წლის 31 მარტს დინამოელები და მოსკოვის სპარტაკელები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს პირველ მატჩში. სტუმრებმა რევანში აიღეს — 2:1 (1:1). ჯერ სალნიკოვმა გახსნა ანგარიში, შემდეგ ჭკუასელმა აღადგინა წონასწორობა, ხოლო მატჩის მიწურულს პარშინმა გადამწყვეტი გოლი გაიტანა.

1958 წლის 23 მარტს თბილისელები დიდი ანგარიშით (1:6) დამარცხდნენ მოსკოველ თანაკლუბელებთან. ერთადერთი საპასუხო გოლის ავტორი გახლდათ იამანიძე.

1959 წლის 19 აპრილს სეზონი გახსნეს ძველმა მეტოქეებმა — თბილისის „დინამომ" და მოსკოვის „სპარტაკმა". ჯერ კალოევმა დააწინაურა დინამოელები, ხოლო შემდეგ ნეტომ აღადგინა წონასწორობა — 1:1.

1960 წლის 9 აპრილს თბილისელები ხარკოვის „ავანგარდს" მასპინძლობდნენ. კალოევის მიერ გატანილ ორ ბურთს სტუმრებმა ვერ უპასუხეს.

1961 წლის 8 აპრილს თბილისის „დინამომ" დაამარცხა ლენინგრადის „ადმირალტეეცი" — 1:0. გოლის ავტორია კალოევი.

1962 წლის 2 მაისის უფერული მატჩი ბაქოს „ნეფტიანიკთან" ფრედ დასრულდა — 0:0.

1963 წლის 31 მარტს დინამოელებმა დიდი ანგარიშით სძლიეს ლენინგრადის „ზენიტს" — 4:0. გოლები გაიტანეს იამანიძემ (2), მესხმა და პეტრიაშვილმა.

1964 წლის 28 მარტს დინამოელებმა კვლავ მოუგეს მოსკოვის „სპარტაკს" — 1:0. მატჩის ბოლო წამებზე ბურთი გაიტანა ბ. სიჭინავამ.

1965 წლის 15 აპრილს თბილისელებმა დაამარცხეს ოდესის „ჩერნომორეცი" — 3:2. მასპინძელთაგან გოლების ავტორები არიან მაისურაძე, მეტრეველი (11-მეტრიანი საჯარიმოდან) და ბარქაია.

1966 წლის 10 აპრილს ქართველმა ფეხბურთელებმა მოუგეს მოსკოველ თანაკლუბელებს — 2:0. გოლები გაიტანეს იამანიძემ და ასათიანმა.

1967 წლის 2 აპრილს მოსკოვის „ლოკომოტივთან" მატჩში თბილისელებმა ქულა დაკარგეს — 2:2. მასპინძელთაგან გოლები გაიტანეს გ. ნოდიამ და ხურცილავამ.

ა. მხეიძე.

# ...ი თბილისშიც მოვიდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ...ნის კონტურები

...ურადღების ცენტრში მისი გამოს-
...ი.
...ი ტურნირი და ევროპის პირვე-
...შეჯიბრებებს წარმოადგენს და თუ
...ბის საკლუბო გათამაშებებსაც (მო-
...ბაზრობათა თასზეც), ცხადი გახდე-
...ქმე.
...ნტურები ასეთია: IX მსოფლიო
...IX ოლიმპიური თამაშების საკვა-
... ჩემპიონატი, ევროპის ქვეყნების
...ს თასების მფლობელთა თასი,
...ული ტურნირი ჭაბუკთათვის და
...აშორისო შეხვედრების დიდი რაო-
...მადგენლებთან.
...თავრდა ერთი — „ენძელას“ თასი,
...ოვებს მოსკოვის დინამოელებმა.
..., საინტერესო და დაძაბული ბრძო-
...ვშირის ჩემპიონატი.
...ებს იწვევს სსრ კავშირის თასის

გათამაშება. მასში მონაწილეობას მიიღებს უმაღლესი ლიგის 20 წარმომადგენელი, „ა“ კლასის II ჯგუფის 12 გუნდი და „ბ“ კლასის შესარჩევ შეჯიბრებებში გამარჯვებულნი.

„ა“ კლასის II ჯგუფში წლეულს უკვე 84 გუნდი ითამაშებს. უნდა აღინიშნოს, რომ ინტერესი მეორე ეშელონის საკავშირო გათამაშების მიმართ სულ უფრო იზრდება, საერთო მოთხოვნები ამ გუნდების მიმართ ძირითადად იგივეა, რაც უმაღლესი ლიგის წარმომადგენლებისადმი.

ოდნავ მოგვიანებით ბრძოლაში ჩაებმება „ბ“ კლასის 178 გუნდი, რომლებიც ტერიტორიული პრინციპით დაყოფილი არიან 9 ზონად.

ზოგიერთი ცვლილება მოხდა ბავშვთა და ჭაბუკთა ფეხბურთში. შეჯიბრებები იწარმოებს უკვე 10-11 წლის ბავშვებისთვისაც, ხოლო ზღვრულ ასაკს ჭაბუკთა გუნდებში წარმოადგენს 17 წელი. 1968 წლის საკავშირო პირველობის დებულებაში წერია, რომ ოსტატთა გუნდების თამაშებში დაიშვებიან 17 წლის ჭაბუკები, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში, ექიმის ნებართვით, 16 წლისანიც კი.

1940 წლიდან დაწყებული ტარდება სსრ კავშირის თასი ფიზიკური კულტურის კოლექტივების გუნდებისთვის. ამ დიდი მასშტაბის შეჯიბრებებში ყოველწლიურად მონაწილეობს 60-70 ათასი გუნდი, ხოლო ფინალში გადის 12 კოლექტივი.

1963 წელს საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დააწესა „იმედის თასი“. ეს შეჯიბრება ხელს უწყობს ახალგაზრდა, პერსპექტიულ ფეხბურთელთა გამოვლინებას და დაწინაურებას. მასში მონაწილეობენ 15 მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები.

არანაკლებ საინტერესოა „სიჭაბუკის თასის“ გათამაშებაც, რომელიც 1964 წლიდან იმართება. იგი ეტაპობრივად წარმოებს და 6 უძლიერესი ქმნის საბოლოო ფინალურ ჯგუფს.

დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრება, მოსწავლეთა სპარტაკიადები, ოსტატთა კოლექტივებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფების ტურნირები.

საყოველთაო პოპულარობა ჰპოვა ბავშვთა მასობრივმა შეჯიბრებამ „ტყავის ბურთის“ პრიზზე. მილიონობით ბავშვს, რომელთაც თავდავიწყებით უყვართ ბურთი, საშუალება მიეცა გამოსცადოს თავისი ძალა ორგანიზებულ შეჯიბრებებში ნამდვილ საფეხბურთო მინდვრებზე, თანაც, ფინალისტებისთვის მუდამ მზადაა რესპუბლიკური და ცენტრალური ტელეხედვის ცისფერი ეკრანები. გავიხსენოთ, რომ შარშან სწორედ საქართველოს წარმომადგენლებმა — „ნაკადულმა“ და „ცისკარმა“ მოიპოვეს ეს საპატიო პრიზები.

აი, ასეთი მდიდარი და შინაარსიანი იქნება სამამულო ფეხბურთი წლეულს. და ყველა ამ შეჯიბრებაში მონაწილეობა მოუწევთ საქართველოს გუნდებსაც.

ვუსურვოთ საბჭოთა ფეხბურთს ახალი დიდი გამარჯვებები საერთაშორისო ასპარეზზე!

ვუსურვოთ წარმატება საქართველოს ფეხბურთის წარმომადგენლებს!

ვუსურვოთ ჩვენს გულშემატკივრებს ნამდვილი სპორტული ბრძოლით აღსავსე, საინტერესო მატჩების მოწმენი ყოფილიყვნენ.

## ვინ ითამაშებს...

მოგვყავს სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მონაწილე გუნდების — თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ შემადგენლობანი.

### „დინამო“ (თბილისი)

უფროსი მწვრთნელი ვ. სოლოვიოვი, მწვრთნელები გ. ჩოხელი, ვ. ბარქაია.

მეკარეები: ს. კოტრიკაძე (1936), რ. ურუშაძე (1939), დ. გოგია (1948).

მცველები: ვ. ჭელიძე (1945), ვ. რეხვიაშვილი (1944), ფ. კანთელაძე (1949), მ. შერგელაშვილი (1947), რ. ძოძუაშვილი (1945), გ. ცხოვრებოვი (1938), რ. ჭოხონელიძე (1948), ნ. კიტია (1950), მ. ხურცილავა (1943), ვ. კოშინი (1950), გ. გოგიჯანაშვილი (1949).

ნახევარმცველები: გ. პეტრიაშვილი (1941), ს. კუტივაძე (1944), ა. ილიადი (1945), ს. ქორიძე (1949), გ. ასათიანი (1947).

თავდამსხმელები: ი. დათუნაშვილი (1937), მ. მესხი (1937), ლ. ნოდია (1949), ს. მეტრეველი (1936), გ. ქიქავა (1947), გ. გავაშელი (1947), გ. ნოდია (1948).

### „ტორპედო“ (ქუთაისი)

გუნდის უფროსი და უფროსი მწვრთნელი ა. ნორაკიძე, მწვრთნელები გ. სორდია და ა. ახობაძე.

მეკარეები: ვ. ცინცაძე (1949), რ. კვასხვაძე (1940), ო. ნარსია (1945).

მცველები: გ. აბზიანიძე (1948), ი. ლოსაბერიძე (1939), ა. საკანდელიძე (1947), ა. სიამაშვილი (1940), ლ. თურმანიძე (1947), ი. ჩხაიძე (1946), მ. წივწივაძე (1942), ზ. ებრალიძე (1944).

ნახევარმცველები: გ. ბალანჩივაძე (1949), გ. ზარია (1945), ე. პაშქურიძე (1948), რ. ჭოლაძე (1948).

თავდამსხმელები: მ. ასიტაშვილი (1947), თ. ბურჯანაძე (1947), დ. ვეკუა (1943), ო. გადელია (1947), ა. ერქომაიშვილი (1945), კ. მუშკუდიანი (1949), რ. ნაჭყებია (1948), შ. ოქროპირიშვილი (1950), რ. სანაია (1948), ჯ. ხაჟალია (1938), ჯ. ხერხაძე (1945), ე. ხუციშვილი (1943), ა. წვერავა (1945), ა. ჭითანავა (1949), ა. ჩიხლაძე (1949).

## დუბლიორთა შეხვედრა

### გუშინ...

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მატჩი თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ დუბლშემადგენლობათა შორის.

თბილისელებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. გოლი, რომელმაც მათ გამარჯვება მოუტანა, გაიტანა ქიქავამ.

დინამოელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: გოგია, ნასარიძე, შერგელაშვილი, კანთელაძე, ბრონნინი, ილიადი, მაჩაიძე, ქორიძე (გოგიჯანაშვილი), რამიშვილი (კობახიძე), ქიქავა, ლ. ნოდია.



სურათზე: მომენტი ქუთაისის „ტორპედოსა“ და კიევის „დინამოს“ ამასწინანდელი კალენდარული შეხვედრიდან. ქუთაისელ ა. ერქომაიშვილს წამით მიუსწრო კიევის „დინამოს“ მეკარე ვ. ბანიკოვმა და გადაარჩინა კარი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი V ტურის მატჩები.

● „სულორი“ (ვანი) — „ფეიქარი“ (წულუკიძე) 3:1. მსაჯი ვ. ჩიბურდანიძე (ბათუმი).

პირველი წუთების მწვავე ურთიერთშეტევების შემდეგ მალე გამოვლინდა ვანელთა უპირატესობა, რომლებიც 24-ე წუთისთვის დაწინაურდნენ ანგარიშით 2:0. შემდგომში ჯანელიძემ კიდევ ერთხელ აიღო „ფეიქრის“ კარი და სტუმრებმა შეძლეს მხოლოდ ის, რომ მატჩის დასასრულს თავი დააღწიეს „მშრალად“ წაგებას (ესებუა).

● „სამცხე“ (აწყური) — ასკ (თბილისი) 0:0. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

● „ნარინჯი“ (ბათუმის რაიონი) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 2:1. მსაჯი ბ. ცხაკაია (თბილისი).

მასპინძლებმა პირველივე წუთებზე მიიღეს თავისებური „საჩუქარი“ მოწინააღმდეგე მეკარის შეცდომის სახით და გუბელაძემ გახსნა ანგარიში. მართალია, საპასუხო ბურთი გატანილ იქნა მოკლე დროში ჭუმბურიძის მიერ, „ნარინჯმა“ მაინც შეძლო გამარჯვების მოპოვება. გადამწყვეტი გოლის ავტორია ჭანუყვაძე.

● „გარეჯი“ (საგარეჯო) — „აერო“ (გალი) 0:1. მსაჯი ლ. ლონდაძე (თბილისი).

პირველ ტაიმს შედეგი არ მოუცია — 0:0. მე-60 წუთზე მასპინძელთა დაცვაში დაშვებული შეცდომა კარგად გამოიყენა მიქვაბიამ და გაიტანა გოლი. გარეჯელებს დარჩენილ დროში მტკიცედ ეპყრათ ხელთ ინიციატივა, მაგრამ „აეროს“ დაცვითი ხაზების კარგი თამაშის გამო მათ ვერ შეძლეს თუნდაც ერთი საპასუხო ბურთის გატანა.

● „სპარტაკი“ (ბორჯომი) — „არაგვი“ (მცხეთა) 3:1. მსაჯი ვ. შილაკაძე (თბილისი).

მიმდინარეობდა მატჩის პირველი წუთი, როცა სპარტაკელმა მასლოვსკიმ პირველ წარმატებას მიაღწია. მცირე ხნის შემდეგ მცხეთელებს მეორედ მოუხდათ თამაშის დაწყება ცენტრიდან (ბურთი გაიტანა პეტროსიანმა). ტაიმის დასასრულამდე ქავთარაძემ შეძლო ერთი ბურთით სხვაობის შემცირება, მაგრამ შემდგომ გუგუბერიძემ განამტკიცა „სპარტაკის“ გამარჯვება — 3:1 (აღსანიშნავია, რომ ბორჯომელებმა მანამდე ვერ გამოიყენეს 11-მეტრიანი დარტყმა).

● „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 2:1. მსაჯი მ. ტორონჯაძე (სამტრედია).

ამ მატჩის შესახებ შეგვიძლია ვთქვათ ის, რომ სამსაჯოდ არ ჩამოვიდა გაგრელი არბიტრი ცანავა. ცხადია, მსაჯის ეს საქციელი უნდა იქცეს ფეხბურთის მსაჯთა რესპუბლიკური კოლეგიის მსჯელობის საგნად.

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ისანი“ (თბილისი) 4:0. მსაჯი მ. ოგანიანი (თბილისი).

● „მესხეთი“ (ახალციხე) — „მშენებელი“ (სიღნაღი) 0:0. მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი).

● „კოლხეთი“ (ცხაკაია) — „ლაითური“ (მახარაძე) 3:0. მსაჯი ა. ხუტაბა (სოხუმი).

მახარაძელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს პირველ ტაიმში და არ მისცეს მას ანგარიშის გახსნის საშუალება. შესვენების შემდეგ „კოლხეთმა“ კიდევ უფრო გააძლიერა შეტევები და ქაჩიბაიას, ხუბუნაიასა და ინჯგიას მიერ გატანილი გოლების წყალობით დიდი ანგარიშით გაიმარჯვა. უნდა აღინიშნოს ა. ხუტაბას კვალიფიციური მსაჯობა.

● „სინათლე“ (თბილისი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 1:0. მსაჯი მ. ნადიროვი (რუსთავი).

● „დურუჯი“ (ყვარელი) — „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) 3:1. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

მასპინძლებმა ძლიერად ითამაშეს. ანგარიში შესვენებამდე გახსნა აროშიძემ. შემდგომში მეტოქეებმა თითო ბურთი გაიტანეს, ხოლო შეხვედრის ბოლო წუთზე ლუჩაშვილმა კიდევ ერთი ბურთი გაგზავნა წალენჯიხელთა კარში.

* * *

3 აპრილს შედგა I ტურში გამოტოვებული მატჩი თბილისის „ისანსა“ და წალენჯიხის „კოლმეურნეს“ შორის. გაიმარჯვეს თბილისელებმა — 1:0.

### გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი

მდგომარეობა 6 აპრილისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სინათლე“ (თბილისი) | 5 | 5 | 0 | 0 | 9—1 | 10 |
| „აერო“ (გალი) | 5 | 3 | 2 | 0 | 11—5 | 8 |
| „სპარტაკი“ (ბორჯომი) | 5 | 3 | 2 | 0 | 10—5 | 8 |
| „სულორი“ (ვანი) | 5 | 4 | 0 | 1 | 8—4 | 8 |
| ფიზკულტურის ინსტ. (თბილისი) | 5 | 3 | 1 | 1 | 9—6 | 7 |
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 5 | 3 | 1 | 1 | 6—4 | 7 |
| „კოლხეთი“ (ცხაკაია) | 4 | 2 | 2 | 0 | 6—2 | 6 |
| „მესხეთი“ (ახალციხე) | 4 | 2 | 1 | 1 | 5—4 | 5 |
| „მეტალურგი“ (ზესტაფონი) | 5 | 2 | 1 | 2 | 5—4 | 5 |
| ასკ (თბილისი) | 5 | 1 | 3 | 1 | 5—4 | 5 |
| „მშენებელი“ (სიღნაღი) | 5 | 1 | 3 | 1 | 5—6 | 5 |
| „დურუჯი“ (ყვარელი) | 4 | 2 | 0 | 2 | 8—5 | 4 |
| „გარეჯი“ (საგარეჯო) | 5 | 2 | 0 | 3 | 7—7 | 4 |
| „სამცხე“ (აწყური) | 5 | 1 | 2 | 2 | 6—7 | 4 |
| „ფეიქარი“ (წულუკიძე) | 5 | 1 | 2 | 2 | 6—9 | 4 |
| „ნარინჯი“ (ბათუმის რაიონი) | 5 | 1 | 2 | 2 | 5—8 | 4 |
| „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) | 6 | 1 | 2 | 3 | 5—9 | 4 |
| „ისანი“ (თბილისი) | 6 | 1 | 1 | 4 | 3—12 | 3 |
| „არაგვი“ (მცხეთა) | 3 | 1 | 0 | 2 | 3—5 | 2 |
| „ლაითური“ (მახარაძე) | 4 | 0 | 2 | 2 | 1—5 | 2 |
| „ქართლი“ (გორის რაიონი) | 5 | 0 | 1 | 4 | 1—6 | 1 |
| „ბახმარო“ (ჩოხატაური) | 5 | 0 | 0 | 5 | 2—9 | 0 |

სსრ კავშირის თასზე

## პერსპექტივა ავალდებულებს

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 4 აპრილი.

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ვოლგა“ (ულიანოვსკი) 1:0 (0:0).

„ლოკომოტივი“: გრძელიშვილი, დვალაძე, მირიანაშვილი, ფრიდმანი, გეგეჭკორი, ძაგანია, შხვაცაბაია, ჭელიძე (მესხაძე), მიქაშავიძე, მაზიაშვილი, მელიქიძე.

„ვოლგა“: პეტროვი, კორკინი, მასლოვი, კუზნეცოვი, მონახოვი, ჩებლუკოვი, ფახრუტდინოვი, რუშკინი (ანჩუ), ტიკიევი, დოროფეევი, აბრამოვი.

მსაჯი მ. მკრტჩიანი (ერევანი).

თბილისის „ლოკომოტივის“ პერსპექტივები საკავშირო თასის გათამაშებაში ასეთია: თუ იგი მოიგებდა პირველ მატჩს ულიანოვსკის „ვოლგასთან“, მისი მოწინააღმდეგე იქნებოდა პერმის „ზვეზდა“ ან ვოლგოგრადის „ტრაქტორი“, რის შემდეგ რკინიგზელებს რეალური შესაძლებლობა ექნებოდათ ებრძოლათ თასის გადამწყვეტ ეტაპზე, 32 უძლიერეს გუნდს შორის მოსახვედრად, საამისოდ კი ღირდა ბრძოლა.

აი, სწორედ ეს წყურვილი ვერ ვიხილეთ „ლოკომოტივის“ პირველ სათასო მატჩში ულიანოვსკის გუნდთან. პრეტენზია თბილისელთა მიმართ გვაქვს იმიტომ, რომ მათი წლევანდელი წინასასეზონო მზადება, „ენძელას“ თასზე საუკეთესოდ ჩატარებული მატჩები საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ: „ლოკომოტივს“ წლეულს სერიოზული განზრახვები აქვს და სრულიადაც არ აპირებს შარშანდელივით „იბორძიკოს“ თასისა თუ პირველობის გათამაშებაში.

ამიტომ დარჩა უკმაყოფილო საკმაოდ მრავალრიცხოვანი მაყურებელი თბილისელთა თამაშით. 45 წუთმა განვლო ისე, რომ მათ ხეირიანად ერთხელაც არ დაურტყამთ მეტოქის კარში. გუნდი შეუგუფულად, ქაოტურად მოქმედებდა მინდვრის შუაგულში.

დაახლოებით ასეთივე სიტუაციაში მიმდინარეობდა მეორე ტაიმი, თუმცა ლოკომოტიველთა თამაშში ოდნავ მეტი მონდომება იგრძნობოდა, თანაც, ერთგვარად იმრავლა კარში დარტყმამაც.

გოლი, რომელმაც თბილისელ ფეხბურთელებს თასის შემდგომ ეტაპზე გასვლის საშუალება მისცა, გატანილ იქნა მე-80 წუთზე. ძაგანიამ ცენტრში მიაწოდა ბურთი ღიად დარჩენილ მიქაბერიძეს და მანაც აიღო „ვოლგის“ კარი.

რ. ქორიძე.

### საწვრთნელი მატჩი

ზუგდიდი, 4 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). აქ გაიმართა საწვრთნელი შეხვედრა ადგილობრივ „ენგურსა“ და ჩერეპოვეცის „მეტალურგს“ შორის.

დაძაბული ბრძოლა დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით — 2 : 1.

გ. ალშიბაია.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

# ლიდერი შეიცვალა

მოსკოვში, წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის II და III ტურებში თბილისელმა დინამოელებმა ერთი მატჩი მოიგეს და ერთიც ფრედ დაამთავრეს. ვოლგოგრადის „სპარტაკთან“ შეხვედრის პირველ პერიოდში ანგარიში ვერც ერთმა გუნდმა ვერ გახსნა. მეორე პერიოდში ისელიძემ კარგად გამოიყენა 4-მეტრიანი საჯარიმო და „დინამოც“ დაწინაურდა — 1:0. მესამე პერიოდში ვოლგოგრადელმა კოტელნიკოვმა შეძლო წონასწორობის აღდგენა — 1:1. ცოტა ხანში თბილისელებს ანგარიშის გაზრდის საშუალება მიეცათ, მაგრამ ისელიძემ ამჯერად 4-მეტრიანი საჯარიმოდან ნატყორცნი ბურთი ძელს მოახვედრა. როცა მატჩის დამთავრებას 2 წუთი აკლდა, თბილისელმა ოჩიგავამ გამარჯვების მაუწყებელი გოლი გაიტანა — 2:1. საუცხოოდ ითამაშა მეკარე გულედანმა, რომელმაც რამდენიმეჯერ გადაარჩინა „დინამოს“ კარი.

გუშინწინ გამართულ III ტურში თბილისის „დინამო“ შეხვდა ლენინგრადის „ბალტიკას“, რომელთანაც პირველი წრის სტარტზევე წააგო — 2:3. „დინამო“ რევანშის აღების წყურვილით ასპარეზობდა, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ ფრეს მიაღწია — 2:2 (1:2, 0:0, 1:0, 0:0).

ამგვარად, II წრის მესამედი განვლილია. ჩვენმა გუნდმა თბილისში სულ 3 ქულა დააგროვა ლვოვის „დინამოსთან“, ვოლგოგრადის „სპარტაკთან“ და ლენინგრადის „ბალტიკასთან“, მოსკოვში კი ამავე გუნდებთან მატჩებში 4 ქულა მოიხვეჭა.

II ტურში ჩემპიონატის ლიდერებმა — მოსკოვის დინამოელებმა დაამარცხეს კიეველი თანაკლუბელები — 3:1 (0:0, 1:0, 1:0, 1:1), ხოლო ლიდერთა „მდევარმა“, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საოლოსნო სპორტკლუბის გუნდმა — მოსკოვის „ტორპედო“ — 2:0 (1:0, 0:0, 0:0, 1:0).

III ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ჩემპიონის ტიტულის ყველაზე რეალური პრეტენდენტები. უკვე მეოთხე პერიოდის დასაწყისისთვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბის წყალბურთელები მნიშვნელოვნად დაწინაურდნენ — 4:1. მოსკოვის დინამოელთა [illegible] რომ საყაიმო ანგარიშისთვის მაინც მიეღწიათ, ამაო გამოდგა. გაიმარჯვეს ფლოტელებმა — 4:3 (1:0, 1:0, 2:1, 0:2). ამგვარად, ლიდერებმა გათამაშების ცხრილში ადგილები შეიცვალეს: II ადგილზე უკვე დინამოელები არიან.

დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: II ტური. მოსკოვის უნივერსიტეტი — კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია (ბაქო) 5:5 (0:2, 2:1, 3:2, 0:0), „ბალტიკა“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (ლვოვი) 4:5 (2:1, 0:1, 1:1, 1:2); III ტური. მოსკოვის უნივერსიტეტი — „დინამო“ (კიევი) 5:1 (1:0, 3:0, 1:0, 0:1), კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია (ბაქო) — „დინამო“ (ლვოვი)) 2:3 (1:0, 0:1, 0:0, 1:2), „ტორპედო“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი) 3:2 (1:0, 0:0, 1:0, 1:2).

გუშინ წყალბურთელები ისვენებდნენ.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 6 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცენტრ. საწყლ. სპორტკლუბი | 12 | 10 | 0 | 2 | 48—22 | 20 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 12 | 8 | 3 | 1 | 49—31 | 19 |
| მოსკოვის უნივერსიტეტი | 12 | 6 | 3 | 3 | 46—33 | 15 |
| „დინამო“ (თბილისი) | 12 | 3 | 7 | 2 | 37—35 | 13 |
| „ბალტიკა“ (ლენინგრადი) | 12 | 4 | 5 | 3 | 38—36 | 13 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 12 | 4 | 3 | 5 | 28—29 | 11 |
| „დინამო“ (ლვოვი) | 12 | 4 | 3 | 5 | 44—27 | 11 |
| „დინამო“ (კიევი) | 12 | 3 | 4 | 5 | 22—30 | 10 |
| კწფ (ბაქო) | 12 | 1 | 5 | 6 | 35—45 | 7 |
| „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი) | 12 | 0 | 1 | 11 | 26—52 | 1 |

## ფეხბურთი

დაიწყო ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩები. ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, რომ გათამაშების ამ ეტაპის წყვილები ასეთია: იუგოსლავია — საფრანგეთი, ბულგარეთი — იტალია, ინგლისი — ესპანეთი, უნგრეთი — სსრ კავშირი.

# მხოლოდ 1:0

ოთხშაბათს ლონდონის „უემბლის“ მინდორზე ევროპის ჩემპიონატის პირველ მეოთხედფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიოს ჩემპიონი — ინგლისის ნაკრები და ევროპის ჩემპიონი — ესპანეთის ეროვნული გუნდი.

ინგლისი: ბენქსი, ნოულზი, ჯ. ჩარლტონი, მური, უილსონი, მალერი, ბ. ჩარლტონი, პიტერსი, ჰანტი, სამერბი, ბოლი.

ესპანეთი: სადურნი, საინსი, გალიეგო, კანოსი, პირი, სოკო, პოლი, გროსო, ამანსიო, ანსოლა, კლარამუნტი.

დასაწყისიდანვე შეტევაზე ინგლისელები გადავიდნენ და უკვე მე-2 წუთზე პიტერსმა გაგზავნა ბურთი ესპანელთა კარში, მაგრამ შვეიცარიელმა არბიტრმა ეს გოლი არ ჩათვალა. ამის შემდეგ ევროპის ჩემპიონის კარი რამდენიმეჯერ სასწაულებრივ გადაურჩა გოლს. ესპანელები ძალიან იშვიათად უტევდნენ, თუმცა ეს კონტრშეტევები საკმაოდ სახიფათო იყო. პირველ ნახევარს შედეგი არ მოუცია — 0 : 0.

მეორე ტაიმის დასაწყისი ამანსიოს ბრწყინვალე გარღვევით და ბენქსის თავგანწირული ნახტომით აღინიშნა, მაგრამ ამას კვლავ მსოფლიო ჩემპიონის მძლავრი შტურმი მოჰყვა. ინგლისელ თავდამსხმელებს ბოლს, ჰანტს, სამერბის და ცენტრალურ მცველს ჯ. ჩარლტონს გოლის გატანის რამდენიმე კარგი შესაძლებლობა ჰქონდათ. რამსეის გუნდი საკმაოდ რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა: 7-8 ინგლისელის განუწყვეტელი შეტევების მიუხედავად გოლი არ ჩანდა. მხოლოდ 85-ე წუთზე შეძლო ბ. ჩარლტონმა ბრწყინვალედ შესრულებული დარტყმის შემდეგ ანგარიშის გახსნა — 1:0 (ეს იყო ჩარლტონის 44-ე გოლი ნაკრებში, რითაც იგი გაუტოლდა გრივსს, რომელიც 44 გატანილი გოლით ინგლისის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო სნაიპერად ითვლებოდა). 90-ე წუთზე ამანსიოსა და გროსოს კომბინაციის შემდეგ მასპინძელთა კარი ბეწვზე ეკიდა...

1 : 0 — ამ მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვა ინგლისის ნაკრებმა. 8 მაისს მას მადრიდში ძალზე მძიმე საპასუხო მატჩი ელის.

(საკ. ინფ.).

# დღეს მარსელში, 24 აპრილს ბელგრადში

### „... გავაგრძელოთ ეს ტრადიცია“

იუგოსლავიაში დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ ცნობას, რომ მათი ნაკრების მეტოქე მეოთხედფინალში საფრანგეთის გუნდი იქნება. ეს აიხსნება იმით, რომ იუგოსლაველებს საერთო დადებითი ბალანსი აქვთ ფრანგებთან.

მას შემდეგ, რაც იუგოსლავიის ნაკრებმა მარცხი განიცადა მსოფლიოს უკანასკნელი ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში, მწვრთნელი რ. მიტიჩი შეუდგა სრულიად ახალი გუნდის ჩამოყალიბებას და დაუკეტა ნაკრებში გზა მათ, ვინც უცხოეთში გადაბარგდა (სკობლარი, ვასოვიჩი, იუსუფი, შოშკიჩი და სხვ.).

მიტიჩის ნაკრები ახლა ასე გამოიყურება: პანტელიჩი, ფაზლაგიჩი, დამიანოვიჩი, ჯორჯევიჩი, რაშოვიჩი, რამლიაკი, პავლიჩა, ბუკალი, ჰასანაგიჩი, ოსიმი, ჯაიჩი.

ნაკრების ვარსკვლავად ითვლება მარცხენა გარემარბი ჯაიჩი და მიტიჩს მიაჩნია, რომ ეს 21 წლის ჭაბუკი ახლავე სჯობს განთქმულ გარემარბ სკობლარს. დიდ იმედებს ამყარებენ, აგრეთვე, შედეგიან ცენტრალურ თავდამსხმელ ოსიმზე, სტაბილური თამაშით გამოირჩევიან მცველები ფაზლაგიჩი, რაშოვიჩი და მეკარე პანტელიჩი.

ფრანგებთან შესახვედრად ინტენსიური მზადება იუგოსლაველებმა 3 მარტს დაიწყეს და უკვე 10 დღის შემდეგ ბელგრადში გაიმართა ამხანაგური მატჩი ბელგრადისა და სოფიის გუნდებს შორის (3:3). ამის შემდეგ იუგოსლაველებმა ჩაატარეს კიდევ 2 ამხანაგური თამაში, რომლებმაც დაადასტურა ნაკრების კარგი ფორმა.

— ტრადიცია იუგოსლაველთა სასარგებლოდ ლაპარაკობს. ადრინდელ შეხვედრებში ჩვენ უფრო ხშირად ვიმარჯვებდით, ვიდრე ფრანგები და ახლაც გვაქვს საშუალება გავაგრძელოთ ეს ტრადიცია, — ამბობს მიტიჩი.

### რას წარმოადგენს საფრანგეთის ნაკრები?

ცნობილი იუგოსლაველი ფეხბურთელი, ნაკრების ყოფილი მოთამაშე ვ. კოვაჩევიჩი კარგა ხანს გამოდიოდა საფრანგეთის ჩემპიონ „ნანტში“. სწორედ მას მიმართა რამდენიმე კითხვით ბელგრადის „ფუდბალმა“.

● **როგორ უნდა შევაფასოთ ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალის კენჭისყრა? ძნელი მეტოქე შეგვხვდა თუ იოლი?**

— ფრანგები უფრო სუსტები არიან, ვიდრე ვთქვათ, უნგრელები, საბჭოთა ფეხბურთელები ან ინგლისელები. თუმცა, საერთოდ, ფრანგები ფეხბურთის გვარიანი ოსტატები არიან. ადრე, ფონტენის დროს, მათი დაცვა ერთ ხაზზე იყო განლაგებული, ახალი მწვრთნელი დიუგ'ოზეგი კი „თავისუფალი მცველით“ თამაშს ამჯობინებს. ამ როლს შესანიშნავად ასრულებს საფრანგეთის № 1 ფეხბურთელი ბოსკიე.

● **კიდევ რას იტყვით საფრანგეთის ნაკრებზე?**

— ფრანგებს თავიანთ რიგებში არა ჰყავთ დიდი ოსტატები, მაგრამ გონდეს საუცხოო დარტყმა აქვს კარში, თუმცა ხშირად ავადმყოფობს და ნაკრებს მისი იმედი არ შეიძლება ჰქონდეს. ყურადღება მიაქციეთ სიმონს — იგი კარგი ბომბარდირია.

● **კიდევ საიდან უნდა ველოდოთ საფრთხეს?**

— კარგი ფეხბურთელია მარცხენა გარემარბი ლებე, მისი დიდი სახელის მიუხედავად, მაინცდამაინც არ მომწონს განთქმული დი ნალო.

● **რატომ განიცადა ფონტენმა კრახი, როგორც ნაკრების ხელმძღვანელმა?**

— იგი ცოტა უიღბლო მწვრთნელი აღმოჩნდა. მოვიდა თუ არა ნაკრებში, მოწინავე მოთამაშეები გონდე და სიმონი კარგა ხნით გამოვიდნენ მწყობრიდან. ამავე დროს, ფონტენი წვრთნის ძველი მეთოდების მომხრე იყო. მან ნაკრების ბირთვად „ნანტი“ მიიჩნია, ეს გუნდი კი კრიზისის ფაზაში შევიდა ორწლიანი ტრიუმფის შემდეგ ეროვნულ ჩემპიონატებში.

● **როგორ შეაფასებთ ჩვენს შანსებს ფრანგების წინააღმდეგ?**

— ფრანგები სახიფათო მეტოქეები არიან, მაგრამ იუგოსლაველებს უნარი შესწევთ დაამარცხონ ისინი.

# როდის, როგორ...

იუგოსლავიისა და საფრანგეთის ეროვნული ნაკრები გუნდების ოფიციალურ შეხვედრათა ისტორიას სათავე ჩაეყარა 1926 წელს. მოგვყავს ტრადიციულ მეტოქეთა შეხვედრების ისტორია:

1926 წ. საფრანგეთი — იუგოსლავია. პარიზი. 4:1.
1929. საფრანგეთი — იუგოსლავია. პარიზი. 1:3.
1932. იუგოსლავია — საფრანგეთი. ბელგრადი. 2:1.
1934. საფრანგეთი — იუგოსლავია. პარიზი. 3:2.
1936. საფრანგეთი — იუგოსლავია. პარიზი. 1:0.
1949. იუგოსლავია — საფრანგეთი. ბელგრადი. 1:1.
1949. საფრანგეთი — იუგოსლავია. პარიზი. 1:1.
1949. იუგოსლავია — საფრანგეთი. ფირენცა. 3:2.
1951. საფრანგეთი — იუგოსლავია. პარიზი. 2:1.
1953. იუგოსლავია — საფრანგეთი. ზაგრები. 3:1.
1954. იუგოსლავია — საფრანგეთი. ლოზანა. 1:0.
1955. საფრანგეთი — იუგოსლავია. პარიზი. 1:1.
1958. იუგოსლავია — საფრანგეთი. ვესტეროსი. 3:2.
1960. საფრანგეთი — იუგოსლავია. პარიზი. 4:5.
1965. იუგოსლავია — საფრანგეთი. ბელგრადი. 1:0.
1965. საფრანგეთი — იუგოსლავია. პარიზი. 1:0.

ე. ი. სულ ამ ორ გუნდს ერთმანეთთან უთამაშია 16-ჯერ. იუგოსლაველებმა მოიგეს 8 მატჩი, წააგეს 5, ფრედ დამთავრდა 3 შეხვედრა.

# დაუძლეველი ზღუდე

ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან მოსკოვის „ტორპედოსა“ და უელსის „კარდიფ-სიტის“ მეოთხედფინალური მატჩების ისტორია ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე. პირველი ორი შეხვედრა მოწინააღმდეგეებმა საკუთარ მინდვრებზე მოიგეს თანაბარი ანგარიშით (1:0). ამიტომ საჭირო შეიქნა მესამე, დამატებითი მატჩის ჩატარება.

და აი, 3 აპრილს, გვიან ღამით გულშემატკივრებმა ტელევიზიით იხილეს ამ მატჩის მსვლელობა გფრ-ის ქალაქ აუგსბურგიდან.

მატჩის დასაწყისი ტორპედოელთა საგრძნობი უპირატესობით მიმდინარეობდა. მაგრამ თავდამსხმელთა უხეირო თამაშის შედეგად (განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სტრელცოვის პასიურობა) წარმატება არ იქნა მიღწეული, 42-ე წუთზე კი „ტორპედოს“ მცველთა განლაგებაში დაშვებული შეცდომის შედეგად უელსელ დინს მიეცა ანგარიშის გახსნის საშუალება.

მეორე ტაიმში ტორპედოელები ბევრს ეცადნენ საპასუხო გოლის გატანას, მაგრამ „კარდიფ-სიტის“ დაცვა მათთვის დაუძლეველი აღმოჩნდა.

მატჩი მოიგო „კარდიფ-სიტიმ“, რომელიც ნახევარფინალში ორჯერ შეხვდება „ჰამბურგს“ (გფრ).

# ცეცხლის რაინდების ტურნირი

როგორ გგონიათ, რა არის მთავარი ცეცხლთან ბრძოლაში? ტექნიკა?

— რა თქმა უნდა.

ეფექტური ცეცხლმქრობი საშუალებები?

— უეჭველად.

მოქნილი, ზუსტად დამუშავებული ტაქტიკა?

— სწორია.

და მაინც, უმთავრესი როლი ამ ბრძოლაში ადამიანს ეკისრება, მამაც, უშიშარ, მაღალი ოსტატობისა და ჩინებული ფიზიკური წრთობის მქონე ადამიანს. იქნებ ამიტომაც არის, რომ სახანძრო დაცვაში სერიოზული ყურადღება ექცევა სპორტს, განსაკუთრებით, სახანძრო-გამოყენებით სპორტს, რომლის წყალობითაც ცეცხლის მრისხანე სტიქიონთან მებრძოლის აუცილებელი თვისებები იჭედება.

თუ ოდესმე გინახავთ, რა გმირულად გადაეშვება ხოლმე მეხანძრე გაავთრებულ ალთან ორთაბრძოლაში, არ შეიძლება არ მოგაგონდეთ რაინდი, რომელიც ყოვლისმძლე ხელით ხახაში შუბს სცემს ცეცხლის ურჩხულს. ცეცხლთან მებრძოლი ყველაფრით რაინდს ჰგავს. იგი ჩაცმულიც კი რაინდივითაა: „ჯავშანი“ სითბოს ამრეკლი კოსტუმია, მუზარადი — მეხანძრის ჩაფხუტი.

მეხანძრეები ტურნირებსაც კი აწყობენ. ესაა ასპარეზობა სახანძრო-გამოყენებით სპორტში.

დღეს თბილისში საინტერესო შეჯიბრება იწყება. საბჭოთა კავშირის საუკეთესო სპორტსმენები ერთმანეთს უძლიერესის სახელს შეეცილებიან. გარდა იმისა, რომ ეს წოდება თავისთავად საპატიოა, იგი საერთაშორისო სარბიელის საგზურსაც იძლევა. შორს კი არც ამ ასპარეზობის დღეა: ამ ზაფხულს ჩვენში სოციალისტური ქვეყნების მეხანძრეთა ჩემპიონატი უნდა ჩატარდეს.

ინტერესი საკავშირო შეჯიბრებისადმი, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში პირველად ეწყობა, უაღრესად დიდია. ვრცელია ამ შეჯიბრების გეოგრაფიაც. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რესპუბლიკის, მხარეების, ოლქებისა და ქალაქების წარმომადგენლები, სახანძრო-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები ბილიკებზე გამოვლენ, რათა ჩაებან პირველობისთვის, რეკორდებისთვის გაჩაღებულ მძაფრ, დაძაბულ და მიმზიდველ ბრძოლაში. მიუხედავად საკმაოდ მძიმე აღჭურვილობისა, მეხანძრე სპორტსმენმა მსუბუქად, უსწრაფესად, ეფექტურად უნდა შეასრულოს შეჯიბრების პროგრამით გათვალისწინებული ვარჯიში. მას დაახლოებით 16 წამი სჭირდება, რომ 30 მეტრი 8-კილოგრამიანი კიბით ხელში გაირბინოს და ამ კიბით ავიდეს 12-მეტრიან სასწავლო კოშკზე, რომელიც ყველა დეტალით ოთხსართულიან შენობას ჰგავს.

30 წლის წინ ასეთი ვარჯიშის შესრულებას სპორტსმენი დაახლოებით 30 წამს ანდომებდა. შეადარეთ ეს დღევანდელ შედეგს და ცხადი გახდება, რომ მეხანძრეთა სპორტს, მის მნიშვნელობას განსაკუთრებული კომენტარი არ სჭირდება. მან, ვისაც თუნდაც ერთხელ უნახავს შეჯიბრება სახანძრო-გამოყენებით სპორტში, იცის ამ წამების ფასი. და ეს წამები განსაკუთრებით ძვირფასია, როცა მეხანძრე თავგამეტებით მიიწევს ზევით, რათა ცეცხლის ტყვეობიდან იხსნას ადამიანი.

თუ თქვენ, მკითხველო, ამ შეჯიბრების ნახვის შესაძლებლობა არასოდეს გქონიათ, მობრძანდით იპოდრომზე, სადაც დღეს, დილის 11 საათზე, საზეიმოდ აიღებს სტარტს საკავშირო შეჯიბრება.

გარდა იმისა, რომ ამ შეჯიბრებაში უთუოდ მწვავე, მიმზიდველი სპორტული ბრძოლა გაჩაღდება, იგი საინტერესო იქნება სანახაობრივი თვალსაზრისითაც. მაგალითად, მაყურებელს უთუოდ დააინტერესებს, როგორ გამოიყურებოდა მეხანძრე, ვთქვათ, ამ 50 წლის წინათ. ძველი და თანამედროვე სახანძრო ტექნიკის აღლუმი თვალნათლივ დაგარწმუნებთ, რა მძლავრი ნაბიჯი გადადგა წინ საბჭოთა სახანძრო დაცვამ თავისი არსებობის წლებში. გამოვლენ პიონერთა სასახლის ნორჩი მეხანძრეებიც. ხვალ, დილის 10 საათზე „დინამოს“ სტადიონზე გაიმართება შეჯიბრება დაბრკოლებათა 100-მეტრიანი ზოლის გადალახვასა და სახანძრო ესტაფეტაში 4X100 მეტრზე.

ა. მამულაშვილი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

8 აპრილს

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კლუბში (ლენინის ქ. № 14) საზოგადოება „ცოდნას“ თბილისის საქალაქო ორგანიზაცია საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციასთან ერთად აწყობს სპორტული მიმომხილველის, სსრ კავშირის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილის იური ვანიატის (მოსკოვი) საჯარო ლექციას თემაზე: „ფეხბურთი-68“.

დასაწყისი 20 ს.

ბილეთების წინასწარი შეძენა შეიძლება „ცოდნას“ საქალაქო ორგანიზაციაში (ლენინის ქ. № 35), ტელეფ. 93-18-46, 93-10-53).

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა ლენინის ქ. № 14. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 უე 04022